რა უნდა იცოდეთ COVID-19-ისგან საკუთარი თავის და გარშემომყოფთა დასაცავად



ზოგადი ინფორმაცია COVID-19-ის შესახებ

- COVID-19 SARS-CoV-2 ვირუსით გამოწვეული დაავადებაა, რომელიც ადამიანიდან ადამიანს გადაეცემა
- COVID-19-ის გამომწვევი ვირუსი კორონავირუსების ახალი შტამია, რომელიც მთელ მსოფლიოში გავრცელდა
- COVID-19 შესაძლოა მიმდინარეობს მსუბუქად ან უსიმპტომოდ, ან გამოიწვიოს მძიმე დაავადება

როგორ ვრცელდება COVID-19?

- ინფიცირება შესაძლებელია მოხდეს დაავადებულთან მჭიდრო კონტაქტით (1 მეტრზე ნაკლები მანძილი)
- რესპირაციული წვეთებით ინფიცირებული ადამიანის მიერ საუბრის, ხველის და ცემინების დროს
- ვირუსით დაბინძურებულ ზედაპირზე ან საგანზე შეხების შემდეგ დაუბანელი ხელების თვალზე, პირსა და ცხვირზე შეხებით

დაიცავით საკუთარი თავი და გარშემომყოფები COVID-19-ისგან

- ამჟამად არ არსებობს ვაქცინა, რომელიც COVID-19-ისგან დაგიცავთ. საკუთარი თავის დასაცავად საუკეთესო გზა ვირუსის თავიდან არიდებაა
- დარჩით სახლში, აუცილებელი საჭიროებების გარდა, და თავიდან აირიდეთ სხვა ადამიანებთან მჭიდრო კონტაქტი
- დაასუფთავეთ და საგულდაგულოდ გაწმინდეთ ზედაპირები, რომლებსაც ყველაზე ხშირად ეხებით
- დაიბანეთ ხელები საპნითა და გამდინარე წყლით სულ მცირე 20 წამის განმავლობაში ან დაიმუშავეთ სპირტის შემცველი ხსნარით

დაიცავით დისტანცია

- ისარგებლეთ ონლაინ სერვისებით, რამდენადაც შესაძლებელია (მაგ. საბანკო პროცედურები, ექიმთან კონსულტაცია)
- საზოგადოებრივი თავშეყრის დახურულ ადგილებში ყოფნისას დაიცავით 2 მეტრიანი დისტანცია; ნივთები დაამუშავეთ სადეზინფექციო ხსნარებით
- მიწოდების სერვისით სარგებლობისას მაქსიმალურად შეზღუდეთ პირდაპირი კონტაქტი

ავადმყოფობის დროს COVID-19-ის გავრცელების შესამცირებლად

- დარჩით სახლში და სასწრაფოდ დაუკავშირდით ექიმს
- განცალკევდით ოჯახის წევრებისგან და დაელოდეთ ექიმის ინსტრუქციას
- ამჟამად არ არსებობს COVID-19-ის სპეციფიკური მკურნალობა, თუმცა ინფიცირებულებს უტარდებათ მკურნალობა სიმპტომების შემსუბუქების მიზნით

იცოდეთ მძიმე დაავადებების განვითარების რისკის შესახებ

- ნებისმიერი ადამიანი შეიძლება დაინფიცირდეს COVID-19-ით
- მძიმე დაავადების განვითარების განსაკუთრებული რისკი ქვეშ იმყოფებიან ხანდაზმულები და ქრონიკული დაავადებების მქონე პირები

CDC

NCDC
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

CS 314937A 04/15/2020

StopCoV.GE; NCDC.GE

ცხელი ხაზი: 116 001; 15 05

25.05.2020